



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmail.com

მაცნე

სამტრედიის

N7 (9330)

11 პარტი . 2020 წელი

ფასი 50 თეთრი

2

გენიამ სოსილური პროგრამების დაფინანსება გაზარდა



2

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სამოქმედო პროგრამა

დაწესებულებაში, სადაც ქარამა ცოლი მოკლა, ხელმძღვანელი გაათავისუფლეს

3

მუნიციპალიტეტში კორონავირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები ტარდება

5



მელაურში ჩინელების ტემის ფაქტს სოფიკო კიკაჩივილი უარყოფს

2

იქ წლის ყოველ დღოს გაზაფხულია

7

"მე და ჩემს მეგობრებს ახც ეხთი ნაბიჭი ანგახების მიზნით ახ გადაბვიდგამს"

8

6

"ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკა 1937-მა წელმა შეინიხა"

მეჩიამ სოციალური პროგრამების დაფინანსება გაზარდა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე პოზიციამაც და ოპოზიციამაც მხარი ერთხმად დაუჭირეს სოციალურ პაკეტებში ცვლილებებს, რომლის ფარგლებში ქორეგული ოპერაციების თანადაფინანსება 500 ლარიდან 600 ლარამდე გაიზარდა.

მატება შეეხო სამედიცინო გამოკვლევების მუხლს. თუ ადრე თანადაფინანსება 300 ლარი იყო, 2020 წლის მარტიდან იმ პირებს, რომელთა გამოკვლევების ღირებულება 800 ლარს გადასცდება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 400 ლარით დააფინანსებენ. ხოლო იმ პირებს, რომლებიც სიდატაის რისკის ქვეშ იმყოფებიან, კერძოდ, ენგრევათ საცხოვრებელი სახლი და არანაირი სასხარი არ გააჩნიათ ოჯახის სარჩენად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით დახმარება 300 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით მიეცემა.

ეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოზე სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოგი ლეჟავამ გააჟღერა: “ეს ძალიან შეღავათის მისცემს იმ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოსაგან დახმარებას საჭიროებენ. მისასალმებელია, რომ ჩვენმა ადგილობრივმა ბიუჯეტმა გამოიხატა სახსრები და ცალკეული სოციალურ პროგრამების დაფინანსება გაიზარდა. მომავალშიც იგეგმება მინიმუმ ორი პაკეტების ფინანსური გაზრდა”.

6060 ნახტავი



სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სამოქმედო პროგრამა

10 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იყო განსახილველი: საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდიდან განსახორციელებელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სამოქმედო პროგრამის შესახებ. მომხსენებელმა, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ თავის გამოსვლაში ის პროექტები ჩამოთვალა, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდიდან შესრულდება. ესენია: 4 სტადიონის და რამდენიმე სკვერის მშენებლობა, იპოდრომისა და მისი წინამდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, ეგრეთ წოდებული, ილორის სასაფლაოს კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 8 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადების გარემონტება და ეზოების მოასფალტება. სოხუმი-კოსტავას ქუჩების კვეთაზე, 2200 კვადრატული მეტრი გარე განათების მოწყობა, გოგში ხიდ-ბოვიერების მშენებლობა. გარემონტდება მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავი, წინა ფასადი და ინტერიერი.

10 მარტის რიგგარეშე საკრებულომ მოიწონა ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდიდან განსახორციელებელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სამოქმედო პროგრამა. ამის მიუხედავად, სხდომას ვენებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია. საკრებულოს ოპოზიციურ წევრებს გაუჩნდათ შეკითხვები, მათ შორის გაუღერდა ადმინისტრაციული შენობის რემონტის თემა, რაზეც მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ზურაბ გოგიამ ავთანდილ სტურუას უპასუხა: “მართალია, ნახევარი მილიონი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტისთვის ცოტა არ არის, ვერც იმას შევუვებით, რა მდგომარეობაშიც ადმინისტრაციული შენობაა. უბრალოდ, სტურუის მიღებაც კი უდიდეს უნერხულობას გვიქმნის”. ავთანდილ სტურუას ამ საუბარებიდან ყველაზე საშურ საქმედ სახურავის მოწესრიგება მიაჩნია.

საკრებულოს წევრთა შორის დისკუსიის საგანი გახდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში სპორტის სასახლის მშენებლობის საკითხი, რომლის ირგვლივ პასუხებს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გასცემდა. ზურაბ გოგიას განმარტებით ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რამდენიმეწლიანი მცდელობის მიუხედავად, ვერაფრით მიაღწიეს იმას, ცენტრალური ხელისუფლება დაერწმუნებინათ, რომ რესპუბლიკური თუ საერთაშორისო დონის სპორტული მიღწევების ფონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტი ნამდვილად იმსახურებს სპორტის სასახლას.

საკრებულოს ოპოზიცია არ დასჯერდა მსგავსი სახის განმარტებებს, უფრო მეტიც, უმრავლესობის მხრიდან წამოსულ ბრალდებებს, სპორტის სასახლის მშენებლობა თქვენი მთავრობაში ყოფნის დროს რატომ არ მოხერხდაო, “ქართული ოცნების” ხელისუფლებას ამ საკითხით ნაკლებ დაინტერესებაში უთვლის.

6060 ნახტავი



მელაურში ჩინელების ცემის ფაქტს სოფიკო კიკაჩიუვილი უარყოფს

“სამარცხვინო ამბავი გვჭირს, სამტრედიის სოფელ მელაურში ჩინეთის 4 მოქალაქე უცემიათ. ორი დღეა, ეს ხალხი დაკარგულია, პოლიციაც ეძებს. როგორც მეუბნებიან, ინციდენტი ეთნიკური ნიშნით მომხდარა. ეს კორონა აუცილებლად წარსულს ჩაბარდება, მაგრამ რა ეშველება ვირუსს, რომელსაც ადამიანის სახის დაკარგვა ჰქვია? მეგობრებო, იქნებ მოვძებნოთ ეს 4 ჩინელი, დავეხმაროთ პოლიციას. საკარაულოდ, საერთაშორისო სკანდალში ვვხვებით”. – ამ პოსტს აქვეყნებს იმერეთის რეგიონში მცხოვრები ერთ-ერთი ჟურნალისტი.

“სამტრედიის მაცნე” დაუკავშირდა მელაურის თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს. სოფელი კვაჩიუშვილმა კატეგორიულად უარყო აღნიშნული ფაქტი. ჩინეთის 4 მოქალაქის მელაურის თემში ცემის და იმ 4 ჩინელის გაუჩინარების ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ სამტრედიამ.

მერის წარმომადგენლის განმარტებით, მსგავსი ფაქტს მათ თემში ადგილი არ ჰქონია: “ზოგადად, მელაურის თემში ჩინელები არ ცხოვრობენ და მათ დისკრიმინაციასაც, ბუნებრივია, ადგილი არ ექნებოდა.

მივიჩინებ და ძალიან მაინტერესებს, ვის ინტერესში დევს ასეთი ფეიქ-ნუსების გავრცელება”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში გაკვირვებას არ მალავს მელაურის თემში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელი კვაჩიუშვილი.

6060 ნახტავი

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 21 თებერვლის №236 ბრძანების საფუძველზე, პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო.

პირველ ეტაპზე დარეგისტრირდებიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. რეგისტრაცია 2 მარტიდან დაიწყო და 16 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

კანონიერ წარმომადგენლებს დოკუმენტების წარდგენის ვადა 17 მარტიდან 24 აპრილის ჩათვლით განესაზღვრათ. მეორე ეტაპი 27 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით გაგრძელდება იმ კატეგორიის მოსწავლეთათვის, რომელთა და-ძმა სწავლობს ამავე სკოლაში. დამატებით არის ის კატეგორია, რომელთა მშობელი, მეურვე, მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია, ან ოჯახიდან 2 ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

საერთო რეგისტრაცია 13 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. მოსწავლეებისთვის დოკუმენტების წარდგენის ვადა ამ ეტაპზე 8 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით განისაზღვრება.

მეოთხე ეტაპი იმ კატეგორიის მოსწავლეებისთვისაა, რომლებიც, მართალია, დარეგისტრირდნენ, მაგრამ აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობის გამო არ მოხდა სკოლაში მათი ჩარიცხვა. ვადა აქ 24 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით განისაზღვრა.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, მინისტრის 2020 წლის 24 თებერვლის №257 ბრძანების თანახმად, კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველ კლასში რეგისტრაციის ვადა დადგინდა 2020 წლის 27 აპრილიდან 10 ივლისის ჩათვლით.

ცვლილება შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში, რომლის თანახმადაც რეგისტრაციის მიღმა დარჩენილების განცხადებას ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრები განიხილავენ, რასაც აქამდე განათლების სამინისტრო ახორციელებდა.

6060 ნახტავი



დაჯიხულებაში, სადაც ქარამ ცოლი მოკლა, ხელმძღვანელი ბათიავისუფლს

თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამტრედიის სამოქალაქო რეესტრის ან უკვე ყოფილმა ხელმძღვანელმა, მანანა მსხილაძემ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე სამტრედიელი საზოგადოებისთვის მოულოდნელი ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

“ჩემო საყვარელო ფეის მეგობრებო, ახლობლებო, მოყვებულებო და მოყვარებულებო! 27.02.2020 წლიდან შევეუერთდი უმუშევართა “მცირერიცხოვან” არმიას. ვისაც გაქვთ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, არ დაგეზაროთ, მომწერეთ პირად მესენჯერში. პირადი პოზიციის და მომხდარი ფაქტის შესახებ არ მეთხოვთ, რადგან პასუხით მაინც ვერაფერს მიხვდებით. წინასწარ მადლობა იმათ, ვისაც გეწყინებათ ჩემი უმუშევრობა და უფრო მეტად მათ, ვისაც ძალიან გაგახარებთ”.

44 წლის მანანა მსხილაძე ზემოლანჩხულ თანამდებობას, დაახლოებით, 15 წელია იკავებდა და საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საკუთარ თანამშრომლებსა და იმ ადამიანებში, რომლებთანაც მას ყოველდღიურად უხდებოდა სამსახურებრივი ურთიერთობა. ქალბატონი მანანა მარტოხელა დედა და მას ერთადერთი, სტუდენტი შვილი ჰყავს.

მანანა მსხილაძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რაზეც სამტრედიელების უმრავლესობის რეაქცია უარყოფითი იყო.

მის გათავისუფლებას ისინი 11 დღის წინ, სამტრედიის სამოქალაქო რეესტრში მომხდარ მკვლელობას უკავშირებენ.

შეგახსენებთ, რომ სამტრედიის სამოქალაქო რეესტრში საზარელი მკვლელობა მოხდა. სამოქალაქო რეესტრის მოქალაქეთა მისაღებად მამაკაცი მოულოდნელად დაესხა თავს ყოფილ მეუღლეს და იქ მყოფი ადამიანების თვალწინ დანის რამდენიმე დარტყმით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

6060 ნანობაშილი

სადეზინფექციო სამუშაოები ეტაპობრივად ჩატარდება!

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ რეგიონში, COVID-19-თან დაკავშირებით საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე იმერეთის რეგიონში ამ კუთხით არსებული ვითარება და პრევენციული ზომები განიხილეს.

როგორც ცნობილია, რეგიონში არსებობს საკარანტინო სივრცეები და არსებული სიტუაციის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება კოორდინირებულად ხდება.

სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ ყველა უწყების წარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსმა, გონა გიორგიძემ შეხვედრაზე როგორც რეგიონის მასშტაბით, ასევე საკარანტინო ზონებში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა.

საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის წევრებმა 2 მარტის შეხვედრაზე კონკრეტული დავალებები მიიღეს, მათ შორის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად რეგიონის მასშტაბით სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

სპეციალურად შედგენილი და დეზინფექციის სამსახურის უფროსის, რუსუდან ხაჭაპურიძის განცხადებით, სადეზინფექციო სამუშაოები ეტაპობრივად ჩატარდება და ყველა აუცილებელ ლოკაციას მოიცავს.

ამასთან, შეხვედრაზე გაცხადდა, რომ სამთავრობო უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე იმერეთის რეგიონში გაუქმდა 3 და 8 მარტს დაგეგმილი ხალხმრავალი ღონისძიებები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში უკვე ამოქმედებულია საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფები მხარის რწმუნებულების ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფებს კოორდინაციის რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში სოზარ სუბარი უწყევს.

6060 ნანობაშილი



ხანძარი სამტრედიისში

ხანძარი დაფიქსირდა 10 მარტს, ღამის საათებში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცეცხლი გამხმარ ბალახს ეკიდა და ვრცელდებოდა გაშლილ მასივზე. ადგილზე მობილიზებული იყო სამტრედიის სახანძრო-სამაშველო სამსახური. ბრიგადების ოპერატიული მუშაობის შედეგად ხანძრის ლიკვიდაცია დროულად მოხერხდა. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ მეხანძრე-მაშველებს თავდაუზოგავი შრომისათვის მადლობა გადაუხადა.

6060 ნანობაშილი



ისევ ხანძრები?

გაზაფხულდა თუ არა, არასასიამოვნო ინფორმაციათა ბუმს ხანძრების თემატ. უფრო სწორად შემთხვევებიც დაემატა და 9 მარტის მონაცემებით ხელისუფლისოდენა საქართველოში შესაბამისმა სამსახურებმა 18 ლოკაციაზე დააფიქსირეს ხანძრის შემთხვევა. ბუნებრივია, შეგვადრწუნა და გაგავოცა ყოველივემ. არ დავმალავთ, სატყეო სააგენტოსა და სამაშველო სამსახურის წარმომადგენელთა იმ განცხადებებმაც თითქოს ხანძრის მიზეზი საგაზაფხულო სამუშაოების გაუფრთხილებლად ჩატარება იყო.

არ ვიცით, ვინ დაეთანხმება და ვინ არა ამ ჩემს ნაზრევს, მაგრამ ნუთუ საგაზაფხულო და სამშობლოდ სამუშაოები წინა წლებში არ ტარდებოდა? თანაც უფრო მასშტაბურად?! თუნდაც მამინ, საზოგადოებრივი მეურნეობები რომ ნაზამთრალ ფართობებს ასუფთავებდნენ ხმელი ბალახებისაგან?!

ყველა უბედურების სათავე გაუფრთხილებლობაა, თუმცა აქვე იმასაც დაგვხსენოთ, რომ იმ წლებში, ბევრი წყევლს რომ ეძახის, სახანძრო უსაფრთხოების აუცილებელ წესებს მოსწავლეებს დაწვევებით კლასებში ასწავლიდნენ. შესაბამისი ცოდნით აიარალებდნენ და დიდი თუ მცირე საწარმოები, ორგანიზაციები შესაბამისი ხანძარს-აწინააღმდეგო ინვენტარითაც იყვნენ აღჭურვილნი.

არა ვართ კომპეტენტურები, მსგავსი საკითხების ირგვლივ ეჭვი გამოთქვით, მაგრამ...

მაგრამ რატომ განშირდა ბოლო წლებში ხანძრის შემთხვევები? ერთიც საკითხავია, გურიის (ოზურგეთის) მაგალითზე, ცეცხლი ტყის მასივს ეკიდა, ამ დროს ხანძრის გაჩენის მიზეზად საგაზაფხულო სამუშაოების უმეთვალყურეოდ, გაუფრთხილებლად წარმართვა სახელდება.

არ გამოვირიცხავთ, თუმცა ჯიუტად ვიმეორებთ, მხოლოდ ბოლო წლებში ტარდება საგაზაფხულო და სამშობლოდ სამუშაოები?! მეტი სიფრთხილე და მეტად დამაჯერებელი შეფასებები უმძიმესი შედეგებისას.

საოცარია ისიც, რომ გაუფრთხილებლობით ხანძრის გამოწვევის შემთხვევებისას ჯარიმები სიმბოლურია. ჩვენის აზრით ამ მხრივ კანონი მეტად უნდა გამკაცრდეს.

ლევან ბაბუკაძე



კორონავირუსი _ გლობალური პრობლემა და მსოფლიოს მასშტაბით სერიოზული გამოწვევა

DMO Imeret-ს ხელმძღვანელის, ტატო ლილუაშვილის, განცხადებით, წინა წლის ზამთრის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში ქუთაისის ცენტრში შესული ტურისტების რაოდენობა გაზრდილია. ორგანიზაციის ელექტრონული მარკეტინგის, მედიისა და პიარის მენეჯერის, მარი დევიძის თქმით, "სავსებით ლოგიკურია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები და ქვეყანა რისკ ქვეყნების კატეგორიაში აღმოჩნდა, ტურისტების შემოდინების დინამიკა საგრძნობლად დაიკლებს. ჩვენმა სამსახურმა უკვე დააგზავნა შეიღებულ, როგორც სასტუმროებთან, ასევე ტურისტულ კომპანიებთან, რათა მივიღოთ შედარებით ზუსტი სურათი შექმნილი ვითარების შესახებ. საინფორმაციო სერვის-ცენტრში მიღებული პრევენციისათვის აუცილებელი და ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით აუცილებელი ზომები. შენობაში ჩატარდა სადღეისო შეხვედრა სამუშაოები. კორონავირუსი გლობალური პრობლემაა და მსოფლიოს მასშტაბით სერიოზული გამოწვევა არა მხოლოდ ტურიზმის სფეროში, ასეთ ვითარებაში პრიორიტეტი ადამიანების ჯანმრთელობაა და აქედან გამომდინარე ყველა იმ რეკომენდაციებისა და რეგულაციების შესრულება, რომლებსაც გასცემენ შესაბამისი უწყებები". _ აცხადებს DMO Imeret-ს ელექტრონული მარკეტინგის, მედიისა და პიარის მენეჯერი მარი დევიძე.

ბობო ნახტავაძე



ადმინისტრაციის უფროსი კომენტარს აკეთებს

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე კომენტარი გააკეთა ადმინისტრაციის უფროსმა. შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ იმერეთში გაზრდილია ხელფასები, პრემიები, ასევე, იმერეთი ერთადერთი რეგიონია, სადაც ყველაზე მეტი ავტომობილია საბიუჯეტო ბალანსზე. ადმინისტრაციის უფროსის, გოჩა გაბუნიას განმარტებით, იმერეთის მხარეში საჯარო მოხელეებს ხელფასები კი არ გაზრდიან, ვაკანსიები შეივსო, რამაც სახელფასო ხარჯი გაზარდა. პრემია აღარ არსებობს, რაც შეეხება დანამატს და ჯილდოს, სახელფასო ფონდიდან გაცემულ თანხებს ის ადამიანები იღებდნენ, ვისაც კანონით დადგენილი წესით ეკუთვნოდათ, კერძოდ, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროს, ვისაც უქმე დღეებში მოუწია მუშაობა. გოჩა გაბუნიას თქმით, მართალია, ბალანსზე 13 ავტომანქანა ირიცხება, აქედან გამართულ მდგომარეობაში 9 სატრანსპორტო საშუალებაა. რაც შეეხება საბიუჯეტო ხარჯებს, ყველა ხარჯი დამტკიცებულია ასიგნირების ფარგლებში, უბრალოდ, კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში, მაგალითად, საწვავზე საცალო ფასის გაზრდის გამო, ხარჯიც გაიზარდა. "ვერ ვიტყვი, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული დასკვნა არასწორია, მოთხოვნის შესაბამისად ჩვენ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას მონაცემები გადავუგზავნეთ და იქვე დაეასაბუთეთ, რამაც გამოიწვია ცვლილებები". _ განაცხადა გოჩა გაბუნიამ ჟურნალისტებთან საუბარში.

ბობო ნახტავაძე

მოსოფლიოს სიმაღლეზე აღმოვჩნდით!

თებერვლის მიწურულის, მსოფლიო შეაშფოთა ახალი მომავლიანობის კორონავირუსის აფეთქებამ და ინფექციის ზრდის ტენდენციამ. თვის მიწურულის კი, ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სააფთიაქო ქსელში პირბადეებზე შექმნილია დეფიციტმა და მკვეთრად გაზრდილია ფასებმა, რითი მოქალაქეებს დაუცველობის განცდა შეგვიქმნა.

ვალიარებით და ვაცხადებით, რომ მიზანშეუწონელი და ყოვლად გაუმართლებელია სააფთიაქო კომპანიების მხრიდან მსგავს სიტუაციებში "ზომის ამგვარად კეობა", თუმცა, კვისარს კვისრის უნდა მიეზღოს და იმის შესახებაც უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლება და შესაბამისად ხელისუფალნი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, რაც აშკარად თვალმისაცემია და რის შესახებაც ჩვენი საზღვარგარეთელი სტრატეგიული პარტნიორებიც ხმადაცხადებენ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი და შესაბამისი უწყებები ყველა ღონეს ხმარობენ დაავადების გავრცელების რისკის შესამცირებლად. ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობენ სტრუქტურები, დამატებით ბრიგადებს გზავნიან სასაზღვრო გამშვებ პუნქტებსა და საერთაშორისო აეროპორტებში და მსოფლიო სტანდარტების ღონეზე აწარმოებენ პრევენციულ ღონისძიებებს. საოცრად აღაშფოთებია და ობიექტური, ამავე დროს სამოქალაქო გმირების გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ჯანმრთელობის დაცვის ექს-მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადება და თვითრეიტინგული აღიარება, რომ მისი მინისტრობისას ვერ გადაწყვიტა ინფექციური საავადმყოფოსათვის შესაბამისი შენობის გადაცემა, თუმცა (ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, ერთი ჭირი მარგებელია) სასიამოვნოა, რომ პრემიერ-მინისტრი, ბატონი გიორგი გახარია დაჰპირდა მედიკოსებს და ინფექციონისტებს, რომ წლის ბოლოსათვის ინფექციურ საავადმყოფოს ტიპური 11 სართულიანი შენობა გადაეცემა შესაბამისი ინფრასტრუქტურით. მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში ყველა სამსახურში სანიტარული პირობებისადმი განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული, რაც ისევ და ისევ მოქალაქეთა დაცულობისკენა მიმართული. არ შეიძლება, შემოთვება და განცვიფრებაც არ გამოეხატოთ რიგ პოლიტიკოსთა განცხადებების გამო, რომლებმაც პოლიტიკური ოპონენტობის ჭრილში განიხილეს და შეაფასეს კაცობრიობისათვის სამიმი კორონავირუსის აფეთქება. თუმცა, არ მგონია, ამ განცხადებებმა ვინმეს წისქვილზე დაასხას წყალი.



უჩვეულო არაფერი მომხდარა, არავინ ვიცით ღმერთის გარდა, თუ როგორ დასრულდება ყოველივე, ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სახელმწიფო მომზადებული შეხვდა ვირუსს და საკუთარ მოქალაქეებს კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფო შემდგარა. დაბოლოს, ისდა დაგვრჩენია, დავემორჩილოთ მედიკოსთა რჩევებს, მითითებებს, რათა ჩვენი დაუღვერობით წამად არ გვექცეს წუთისოფელი. ... გაზეთის გასვლისას, ანუ 11 მარტის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსით დაინფიცირებულთა რაოდენობამ 23 მიაღწია, მათ შორის ერთი ბავშვია. როგორც აღვნიშნეთ შესაბამისი უწყებები ყველაფერს აკეთებენ მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად. ამის ნათელი მაგალითია, ის პრევენციული ღონისძიებები რაც ქვეყანაში ტარდება.

ლევან ბაბუნაძე

მუნიციპალიტეტი კორონავირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები ტარდება

კითხვან ჩაღიპი

KOVID-19-მა ახალი თავსატეხი გაუჩინა მსოფლიოს. ვირუსი ჩინეთის საზღვრებს გასცდა და ასევე მეტ ქვეყანას მოედო. 11 მარტის მონაცემებით სტატისტიკა ასეთია: დაინფიცირდა 119 ათას 133, გარდაიცვალა 4 ათას 284 და განიკურნა 65 ათას 779 ადამიანი.

ორანიდან კორონავირუსმა საქართველოშიც შემოაღწია. ლუგარის ლაბორატორიაზე დაყრდნობით, იტალიიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულეებიც აღმოჩნდნენ ვირუსის მატარებლები. ამჟამად ისინი ბოქსირებულ განყოფილებაში გადიან მკურნალობას. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. საქართველოში უცხოეთიდან დაბრუნებული ადამიანები განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. მათი ნაწილი სპეციალურად გამოყოფილ საკარანტინო სივრცეში, ნაწილი კი თვითმზღვრის პირობებში რჩება. 3 სამტრედიელი გორში, სამხედრო პოსტიტალში გადის კარანტინს, 8 პირი კი საკუთარ სახლშია თვითმზღვრებული. მათზე მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება. თვითმზღვრის რეკომენდაციების დარღვევის შემთხვევაში ხდება ადგილზე მათი შემოწმება. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს დახმარებას საპატრულო პოლიციაც უწევს.

სახელმწიფომ ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საზღვარზე გადასვლა გაამკაცრა. მოსახლეობა პანიკას არ მოუცავს. იმედია, ყველაფერი დაძლევადა, თუკი თითოეული ადამიანი მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას გამოიჩინოს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის პროტოკოლის ფარგლებში იმოქმედებს. საფრთხის თავიდან ასაცილებლად მოერიდეთ ახლო კონტაქტს ავადმყოფ ადამიანებთან, რომლებსაც ცხელება და ხველა აღენიშნებათ; ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით, ხოლო მათზე ხელმისაწვდომობის არქონისას გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი; მოერიდეთ ცხვირზე, თვალსა და პირზე ხელის ხშირ შეხებას; თუ ახველებთ და აცემინებთ, გაიკეთეთ ნიღაბი. აუცილებელია, ხმარების შემდეგ ნიღაბი მოათავსოთ ნაგვის დაზუსტულ კონტეინერში. ვირუსული ინფექციის სიმპტომების გამოვლინების შემთხვევაში აუცილებელია მიაკითხოთ ექიმს.

კორონავირუსთან დაკავშირებით თითქმის ყოველდღე იმართება შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან მუნიციპალიტეტის მერიაში. აქ შექმნილია უწყებათაშორისი რეკომენდაციის შესაბამისი სამუშაო გეგმა, რომელსაც მერიის ადმინისტრაციის უფროსი, ბუჟან გე-

გეშიძე ხელმძღვანელობს. საბჭო მონიტორინგს უწევს პროტოკოლით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას. ყოველდღიურად მიმდინარეობს სადემონსტრაციო სამუშაოები. ძირითადად, დემონსტრაციას შპს “დებრაზში” ახდენს, რომელსაც თემურ თევზაძე ხელმძღვანელობს. მისი განმარტებით, ბენადელსინი, რითაც ხდება ობიექტების დამუშავება, ანტივირუსული, ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგე უსუნო და უფერო ხსნარია. ასევე იყენებენ ქლორმდილის ხსნარს. შესხურების შემდეგ სუფთა ტილოთი ხდება დამუშავებული ადგილების გაწმენდა. ორგანიზაციების ჩამონათვალი, სადაც “დებრაზში” აწარმოებს სამუშაოებს, საკმაოდ გაიზარდა. ადმინისტრაციული შენობა, ბანკები, სავაჭრო ობიექტები, სკოლები, კერძო საბავშვო ბაღები და ასე შემდეგ. როგორც სკოლაში, ისე ბაღში დაწესებულია გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა ამბობს, საბავშვო ბაღებში წლის მანძილზე დემონსტრაციას რამდენჯერმე ატარებს ორგანიზაცია “პიგია”. დაწესებულებები ერთხელ უკვე შეიწამლა. საადმინისტრაციო პროცესების განახლების წინ დემონსტრაცია ისევ ჩატარდება.

ყოველდღიურად ხდება სამგზავრო ტრანსპორტის შეწმენდა. პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მისი მოადგილე დავით ბახტაძე და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია საბჭოს სხვა წევრებთან ერთად საქციის საზოგადოება “მოგზაურის” ტერიტორიაზე დაესწრნენ. “ყველა ითავისებს შექმნილ მდგომარეობას და მზადაა, უსაფრთხოების ნორმები დაიცვას. რამდენიმე მძღოლმა თვითონ გამოთქვა სურვილი, წამალი მიგვეცა და თავად გააკეთებდა დემონსტრაციას.” – აღნიშნავს “მოგზაურის” ხელმძღვანელი ჯონი სტურუა.

“ჩვენი სახელწიფო უწყებები კარგად მუშაობენ. ისეთი ქვეყნები გამოიარეს მგზავრებმა საქართველომდე და ვირუსი ვერ აღმოუჩინეს! ეს მხოლოდ ჩვენთან გახდა შესაძლებელი”. – განაცხადა ვალერიანე ფოცხვერია სხვადასხვა უწყებებთან შეხვედრაზე. – “ჩვენი შეკრება მზაობისკენ არის მიმართული. აუცილებელია მოსახლეობამდე სწორი ინფორმაციის მიტანა. გავუფრთხილდეთ თავსაც და სხვებსაც. საგანგაშო მდგომარეობა არ არის.” მან მერის წარმომადგენლებს სოფლებში, სკოლებისა და საბავშვო ბაღების, ბიბლიოთეკის, “საქართველოს რეინიგების”, სააფთიაქო და სავაჭრო ქსელების, ასევე, სილაშაშის სალონების, სარიტუალო დარბაზების, ხელმძღვანელებს, მოუწოდა, ხშირი კონტაქტი იქონიონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ფილიალთან, ასევე მერიასთან. “ეს არ არის პოლიტიკა. აქ ყველას ერთნაირი საზრუნავი გვაქვს”. – დასძინა მან.

“როგორც ყოფილი ეპიდემიო-

ლოგი, დარწმუნებული ვარ, თუ როგორ კარგად მუშაობს პრევენციული სამსახური. ეს თვითდამწვიდების უფლებას არ გვაძლევს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ის ალგორითმები, ის წესები დავიცვათ, რასაც მოგვარწმუნებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. მართალია, ღონისძიებები უნდა შეიზღუდოს, თავშეყრის ადგილები მაქსიმალურად დაიხუროს, მაგრამ პირველი მაინც საკუთარი თავის დაცვაა. რაც შეეხება სადემონსტრაციო სამსახურს, სამუშაოები გეგმის მიხედვით უნდა ტარდებოდეს. კარგია, რომ სწავლის პროცესი შეწყდა.” – აღნიშნა “ჯეოპოსიტივალის” სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის დირექტორმა ლუარა კახიანმა. ირაკლი ლალიძის, “ჯეოპოსიტივალის” სამტრედიის სამედიცინო ცენტრის დირექტორის განცხადებით: “სასიხარულოა, რომ კორონავირუსი მუნიციპალიტეტში არ დაფიქსირებულა. ეპიდემია თავისი სისასტიკით და მასშტაბებით არ განსხვავდება წინა წლების ინფექციებისგან თავისი შედეგებით. მიუხედავად პროტოკოლები არეგულირებს დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას. არსებობს მკაფიო ინსტრუქციები. მნიშვნელოვანია მედიის და სხვა საინფორმაციო საშუალებების ჩართვა და სწორი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის. მკაცრად უნდა გავითვალისწინოთ ქმედების წესები. დემონსტრაცია მნიშვნელოვანია და სულ მალე გადავივლის სამიშრობა.”

მერის მოადგილე დავით ბახტაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სწრაფი გადახდის თუ საბანკო ტერმინალების დემონსტრაციაზე: “ქალაქში ასეთი 100-მდე აპარატია. მათთან ყველაზე ხშირი შეხება უწევს მოსახლეობას. გთხოვთ, ოპერატორებს, მათ ვისაც ეს აპარატები ეკუთვნის, უზრუნველყოს მათი დემონსტრაცია, ელემენტარული გაწმენდა მაინც. ჩატარებული სამუშაოების მონაცემები მუნიციპალიტეტის მერიაში გამოგზავნეთ. ასევე, სურათები, რომლებიც აპარატების დემონსტრაციის პროცესს ასახავს. აღრიცხეთ რამდენია და მჭიდრო კავშირი იქონიეთ ქალბატონ მარინას სამსახურთან.”

ვერობაში ყველაზე მძიმე სიტუაცია იტალიის ჩრდილოეთ რეგიონშია. სახელმწიფომ საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცა ემიგრანტებს და ბილეთები გაუუქმა მათ. პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარას, ინიციატივით, ორი სპეციალური რეისით იტალიიდან საქართველოს 156 მოქალაქე ჩამოიყვანეს თბილისში. დარჩა კიდევ რამდენიმე მოქალაქე და საავარაუდოდ, კიდევ ერთი რეისის საჭიროება შეიქნება. ისინი კარანტინში იქნებიან 14 დღის განმავლობაში. საქართველოში ჩამოსვლამდე მოქალაქეებს ჩაუტარდათ შემოწმება. პროცედურები გაიარეს თბილისშიც. უკვე მიღებულია შესაბამისი ზომები.



იქ ნდის ყოველ დღოს გაზაფხულია

ამომავან ჩაქობაძე

თითქოს ერთი დიდი ბუნებრივი დაუნატურალიზებული მსატყარს, გაოცებს ფერთა ვაზა და ბუნების სინათლეფისი, მთელი ბინა რომ ყვავილებით აუვსიათ. თავს ყველაფერ იწონებენ ისინი: იატაკზე, მაგილებზე, ფანჯრის რაფებზე, თაროებზე, კედლებზე, აივანზე. ში წელია, თავისი ადვილი დაუკვიდრებით ნატალია ჩაქობაძის ცხოვრებაში. ყველაფერი კი ქოთანში ჩარეული ერთი ითი დაიწყო. თანდათან გაიზარდა მათი რიცხვი და დღეს უკვე ასზე მეტი ქოთანის ყვავილი ხარობს ბინაში, სადაც ქლის ყოველ დროს გაზაფხულია.



“მიყვარს”, ალბათ, არ არის ის სიტყვა, რასაც ყვავილების მიმართ ვგრძნობ, დილით ვდგები თუ არა, მათზე ვიწვებ ზრუნვას. ვეფერები, ველაპარაკები. სინარულით ვიღვიძებ, ამით რომ ვხედავ”. – განწყობას გვიზიარებს ქალბატონი ნატალია. სხვადასხვა დასახელების კაქტუსი, ბალბა, ალოე ვერა, კრეტონი, მონსტერა, ფიგუსი, ჩინური ვარდი, დეკემბერა, ქრისტესისხლა, კალონპო... რას არ ნახავთ აქ. არც მარტო ბინა, ქალბატონმა ნატალიამ და მისმა მეუღლემ, ელგუჯა გიგინეიშვილმა სადარბაზოც კეთილმოაწყვეს და ყვავილებით მორთეს. მცენარეები საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოშიც დარგეს. სტუმარი ხშირად ჰყავთ, უცნობებიც კი, ყვავილების ხათრით. აქ გულდასმით მასპინძლობენ მომხმარებელს. როგორც თვითონ ამბობს: “ვიცი, მოვედი როცა, არ ვიცი, წავალ როდის, მაინც ცერებზე ვდგავარ, როცა სტუმარი მოდის, სიტბოს ვაგებებ ზღურბლთან, უბერავს თბილი ქარიც...”. ნატალია ჩაქობაძე წარმოშობით აბაშელია, სოფელ კოდორიდან. სკოლაში კარგად სწავლობდა. სურვილი ჰქონდა, დედის მსგავსად ეხატა და კალიგრაფიაშიც ლამაზი ჰქონდა, მაგრამ არ გამოსდოდა. არ ახსოვს, ყვავილების სიყვარული როდის შეეყარა. მეშვიდე კლასში იყო თავის მომავალ ქმარზე შეყვარებულმა ლექსების წერა რომ დაიწყო. ქალბატონი ნატალია და ბატონი ელგუჯა – “საქართველოს რეინიგზის” სატვირთო მო-

მარაგების სპეციალისტი, წლებია, ერთგულად სწევენ ოჯახურ უღელს. მათ ერთი შვილი ჰყავთ, დავითი, რომელიც ახლად დაქორწინებულია და მეუღლესთან, ირმა შენგელიასთან, ერთად ისრა-

ეთიდან ჩამომიტანეს. ძალიან პატარა იყო, ნახეთ, როგორ გაიზარდა, ულამაზესია! მოსკოვიდან, თურქეთიდანაც ჩამოუტანიათ ჩემთვის ყვავილები. ერთხელ, სახლში მოსულს კართან ქოთნებით ათი სხვადასხვა ფერის ორქოვებიც დამხვდა. სინარული როგორ გამომეხატა, აღარ ვიცი. ჩემს რძალს შეუკვთია თურმე ისრაელიდან. მუშობელმა ახალიები მამუქა. ქმარსაც და შვილსაც მოუტანია ყვავილები ჩემთვის. თუ ვინდა გამაზარო, ყვავილი უნდა მარუქო. ზოგჯერ მეც ვრუქნი სხვებს ყვავილებს, მაგრამ მე რომ მრუქნიან, ის უფრო მიყვარს”. – იღიმება ქალბატონი ნატალია. მან ბევრ თავის ახლობელს გაუჩინა სურვილი, ყვავილები მოეშენებინა, რჩევასაც ეკითხებოდა და ისიც საიმოვნებით ეხმარება მათ. ამბობს, რომ მოყვარულია, ბევრ სპეციალურ ლიტერატურას და ინფორმაციას ეცნობა, უკეთ რომ მოუაროს მათ. ყვავილებს საუფლოში ლექსიც “მოვარდება” ხოლმე და განწყობა სტრიქონ-სტრიქონ გადააქვს ფურცელზე. მალე, ალბათ, წიგნადაც ავიწყდება მისი პოეტური ნაღვაწი. ჩვენ კი სახელდახელოდ მის ერთ ლექსს, “ადამიანს” შემოვთავაზებთ: “დღეს ვერაფერი ვერ გავიყვით, ხვალ რა იქნება ნეტავ? ლოცვად მოვედი იმედის კართან, შენც ჩემთან ერთად დგახარ. წუთისოფელი წუთია მართლაც, ყველა ამხე ჩივის, მე თუკი შენი ვაგარჯენი ვარ, შეცდომებს რაღად მითვლი?! ქარი წაიღებს ნანამთრალ ფოთლებს, ქარი წაიღებს სევდას, შენად მიიღვ სხვისი ტკივილი ადამიანი გერქვას!” ლექსის წერის დროს ყვავილები ინსპირაციაც არის მისთვის და მიძღვნის ობიექტიც. უყვარს ყველაფერი ქართული. ჩემი ცხოვრების კრელო სხვისი გაზარებააო, გვარწმუნებს და სჯერა, რაც მეტად ეყვარება ადამიანს ბუნება და მისი ქომავი იქნება, ქვეყნად ნაკლები ბოროტება იარსებებს.



ერთხელ ავაშენოთ თხილი ქანა



წლების უკან ჩვენსავით ემიგრანტი იყო ერობაში ქალბატონი მაგული (დედა პოტამია). ყოველთვის სურდა, რომ მონასტერში წასულიყო. ისევ ესტუმრა სტამბულს რუის-ურბნისის ეპარქიიდან უკვე დედა პოტამია. როგორც მოგეხსენებათ, დედაო ჩამოვიდა მოსალაოცად სტუმრის სტატუსით, შეხვდა ემიგრანტებს და გვანუქა გარკვეული დრო ნუგეშის მოსაცემად. გვესაუბრა იმ გეგმებზე, რომელსაც მისი მოღვაწეობის დიდ დროს უთმობს. ის ცდილობს, მეუფის ლოცვა-კურთხევით და თავისი ძალით ააშენოს “ხლუდერის კერა” და გადაარჩინოს ქუჩაში დარჩენილი თაობა ჯანსაღი მომავლისათვის, “ღვთის ჯარისკაცებად”, როგორც მან უწოდა. დედა პოტამია, მართლაც, კეთილ საქმეს უდგას სათავეში. იქ მცხოვრებ ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ განათლება და დაეუფლონ ხელსაქმეს. ის გვესაუბრა ღვთის სიყვარულზე, რამეთუ დიდა უფლის სიყვარული ქართველ ერში. დაგვარია, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორ ვთესოთ სიყვით, ერთგულება. სასიამოვნო საღამო გამოვიდა, ყველანი ბედნიერები ვიყავით. დაგვავიწყდა რამდენიმე საათით, რომ ემიგრანტები ვართ. ჩვენთვის ამ გაუსაძლის დროში ეს შეხვედრა წამალივით მოგვედო, სულს უმკურნალა, დაგვლოცა, რუის-ურბნისის მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევით გვაცხო ზეთი, გადმოგვცა მისი ხელით დამზადებული სკენილები და ხატები. ძალიან ტკბილი და მინანდასხული ადამიანია დედაო. ჩვენ, ემიგრანტებმა სურვილი გამოვთქვეთ, რომ აუცილებლად გვერდით დაგვდგებოდა “სიკეთის სადარაჯოზე”. უფალმა ძალა მისცეს დედა პოტამიას, რომ ყველაფერი ისე დასრულდეს, როგორი ჩანაფიქრიც აქვს. ჩვენ, ჩვენი სურვილით მის გვერდით ვიქნებით ამ ღირსეული საქმის წამოწყებისათვის. დედაოს სამადლობელი წერილი საემიგრაციოს გზიდანვე გამოგვიგზავნა საქართველოსკენ მიმავალმა: “მოვიდვარ და გულით მომაქვს ჩემი ტკივილიანი, მაგრამ სახე ღიმილიანი ქართველების სიტბო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. თავს არ მივეცი უფლება მათთვის ცრემლი მეჩვენებინა, თუცა, მათ ცხოვრებას ვერაინ გაიგებს ისე ღრმად, როგორც შევიგრძენი ყოფილმა ემიგრანტმა... ახლა კი გზაში ვიქნის დიდი დრო მაქვს და ცრემლებს ვერ ვვაგებ... მინდა, ხმამაღლა ვიდრიადლო და ისევ ვიხიოვ დედაღვთისას მათი ხევიდრის შემსუბუქება... ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. აქ არ არსებობს უკან დასახევი გზა ისე, როგორც ჩემი ერში დაბრუნება”. **ნატალია მონასტერი თხილი**

ბევრი ვისწავლა მისგან

ლევან გაბეჩავა

ყოველთვის მსიამოვნება ასაკით უფროს ადამიანებთან ურთიერთობა.

ნამდვილად გამომართლა, ჯერ დიდი ჯიხაბის ყაზბეგის სკოლაში, ხოლო შემდეგ რედაქციაში ბევრ თვალსაჩინო, ბეზია-ბაბუს ტოლ ადამიანთან მომიწია მუშაობა, რასაც ყოველთვის დიდ პატივად აღვიქვამდი.

დაუვიწყარია ჩემთვის ის წლები. ამჯერად ის ადამიანი მინდა გავიხსენო, რომელთანაც დიდი ხნის ურთიერთობა, ნაცნობობა მაკავშირებდა. სამტრედიის მეისტორი გვერდს ვერ აუვლის მშობის, ტარიელ და სოსო ხაჭალიების დედაწეს მშობლიური ქალაქის წინაშე. ბატონი სოსო ხაჭალია ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარი იყო. სხვადასხვა წლებში იმუშავა გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში, იყო სამტრედიის სტამბის დირექტორი, დიდი ჯიხაბის ნიკოლოზის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი და ა. შ.

ყველგან საკუთარი ხელწერა და კვალი დატოვა საოცრად ერუდირებულმა, ობიექტურმა და პრინციპულმა კაცმა. თავდავიწყებით იყო შეფარებული მშობლიურ ქალაქსა და ქალაქელებზე.

ლადი, მისეული იუმორი მისსავე ინტელექტზე მეტყველებდა.

სხვა დრო იყო მაშინ, აზრადაც არავის მოუვიდოდა მიღებებსა თუ სხვა ღონისძიებებზე თანამშრომელთა არჩევით მიპატივება. ერთ-ერთ შეხვედრაზე

მოხვდით, სადაც საკმაოდ მაღალი რანგის სტუმრები შეხარხოშებულნი ამკარად უსვამდნენ ხაზს, რომ დედაქალაქიდან იყვნენ და ქვეცნობიერად სამტრედიის ჩაბნელებული ქუჩების შიშის მომგვრელობაზე საუბრობდნენ. მკითხველი მიხვდება, საუბარი ჩემი ქვეყნისათვის გაუსაძლის პერიოდზე, მიმდინარე საუკუნის კვირადაღზე რომ გახლავთ.

არ აჩქარებულა ბატონი სოსო, რომელიც სუფრას თამადავდა, სასმისი ხელში აიღო და რიხიანად წარმოსთქვა: უცხოურ როუ-ენ-როლს ქართული მრავალჭამიერი მირჩენია, განახლებულ პარონს, ჩემი ჩაბნელებული სამტრედიის და ჩემი ქალაქის გუბებში მოყვინებ ბაყაყების ხმაურით. მიფვარს ისინი, ჩემი და იმიტომ. რა თქმა უნდა, საღვთო კიდევ გაგრძელდა და დარბაზში ოვაციამ იქცა.

მცირეზე მცირე დეტალია ყოველივე მშობლიური ქალაქისადმი მისი სიყვარულის გამოხატულებისა, თუმცა, მთელი მისი ცხოვრება ზომ პუმანიში და კაცთმოყვარეობა, იდეებისადმი ერთგულება იყო.

მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან...

მესიამონა, როდესაც ბატონი სოს-



ოს გარდაცვალებიდან წლების შემდეგ, მისმა ვაჟმა იმედი, რომელიც ჩემი ურთიერთობების შესახებ კარგად უწყობდა, ერთ-ერთ ღონისძიებაზე, დამსწრეთა თვალწინ, მამის სახელზე გაცემული საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრის სამკერდე ნიშანი რომ მისახსოვროს, რომელიც ჩემთვის ძვირფასი საჩუქარი იყო და არის.

ამ დღეებში 85 წლისა გახდებოდა ბატონი სოსო ხაჭალია. ეს წერილიც ამიტომ დაიწერა.

საზოგადოება "სამტრედიელი" თანაურგონობის ნათია გოგუაძესა და გია ხაბეიშვილს დედისა და დედამთილის

მამაკალა ოლიზაპაპა-ხაბაი-შვილის
გარდაცვალების გამო.

ლანირის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი თანაურგონობენ ნინო და გია ხაბეიშვილების ოჯახებს დედის, ქალბატონი

მამაკალა ოლიზაპაპა-ხაბაი-შვილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნე" თანაურგონობის ნათია გოგუაძესა და გია ხაბეიშვილს ქალბატონი

მამაკალა ოლიზაპაპა-ხაბაი-შვილის
გარდაცვალების გამო.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაურგონობის მავლინა თავაძეს

დედის
გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაურგონობის მავლინა თავაძეს

დედის
გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაურგონობის მავლინა თავაძეს

დედის
გარდაცვალების გამო.

ნათელა გელიეშვილი თანაურგონობის უცხადებს მავლინა თავაძეს

დედის
გარდაცვალების გამო.

ვეტერანთა რაიონული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვაალა პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკი

სოსო შენგელია
და თანაურგონობის განსვენებულის ოჯახს.

აპოლონ ხაჭალია და ჯემალ ხარებავა იუწყებიან, რომ გარდაცვაალა პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკი

სოსო შენგელია
და თანაურგონობის განსვენებულის ოჯახს.

დებანოზ ათანასე რუხაძის ტკივილიანი გახსენება

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო საყვარელო, ძვირფასო და განუმეორებელი შვილო, 38 წლის გახდებოდი. გეწამს, რომ დღეთის სამსჯავროზე პირნათელი წარსდექი, და დაბადების დღეს სამოთხის ანგელოზები გიხდიან. ჩვენ კი, შენი გარდაცვალებით დათრგუნული ოჯახი, ყვაილებით შევამკობთ შენს საფლავს და ცრემლიანი თვალებით მოგილოცავთ დაბადების დღეს. გულდამძიმებულნი ერთს ვთხოვთ უფალს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ცრემლით დანამული მიწა, რადგან ზოგჯერ მიცვალებულთა პატივსაცემად ტკივილს გულში ივლავენ.

შენი უზომოდ პონატარაული შენი ოჯახი

უკვე მეორე გაზაფხულს ვხვდებით უთქვენოდ, გაზაფხულივით ცვალებადი ხასიათი გქონდა, მაგრამ ერთი საზომით გიყვარდათ ყველა სულიერი შვილი, დიდი და პატარა!

ჩემო სულიერი მოძღვარო, მამა ათანასე, დღეს თქვენს საფლავთან შევიერთებთ თქვენი დაბადების დღის აღსანიშნავად, გიხსენებთ სითბოთი, სიყვარულით და დიდი გულისტკივილით. არასოდეს დაგივიწყებთ, არც თქვენ და არც თქვენს მრავალშვილიან ოჯახს!

მაცნეების ვებინტერნეტის ტაძრის პრეზიდი




ელექტრონიკის ისტორიიდან...

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ელექტრონიკის გაცილებით ადრე გამოიგონა ადამიანმა, ვიდრე ბენზინსა და დიზელზე მომუშავე შიდა წვის ძრავა. პირველი ელექტრონიკის 1841 წელს იქნა შექმნილი და მას ურეის მსგავსი ფორმა ჰქონდა. ამ ინოვაციურ სატრანსპორტო საშუალებაზე მოთხოვნა განსაკუთრებით XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში გაიზარდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველი კომერციული სახის ავტობოლაში, რომელიც როდი-აილენდის ქალაქ კრასტონში 1896 წელს იქნა გამართული, სწორედ რომ ელექტრონიკის გამოიყენა გამარჯვება. როლის გამარჯვებული გახდა კომპანია - "Riker" -ის მიერ წარმოებული ელექტრონიკის, რომელმაც ხუთი სხვა მარკის ავტობოლი ჩამოიტოვა უკან. აქ საკვირველი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება: ხუთივე ავტობოლი ბენზინზე მომუშავე შიდა წვის ძრავით იყო აღჭურვილი. რადგან ელექტრონიკის კარგი და მარტივი მოსახმარი იყო საექსპლოატაციოდ, მის მიმართ დიდი ინტერესი მანდილოსანმა-მძღოლებმა გამოიჩინეს, რომლებიც არც თუ ისე ბევრი იყვნენ იმ პერიოდში. ელექტრონიკის გარდა იმისა, რომ მისიყვარდა იქიქებოდა, უხმაურადაც გადაადგილებოდა. ელექტრონიკის საშუალებას აძლევდა 40-60 კილომეტრი მანძილი დაეფარა. XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ არსებობდა ბენზინის გასამართი სადგურები. თვით ბენზინი კი, რიგ ქვეყნებში აფთიაქებში იყიდებოდა. და ამ დროს, ამერიკის შეერთებული შტატების ყველა დიდ ქალაქში ელექტრონიკის სადგურების მთელი ქსელი იყო ჩამოყალიბებული.

დროთა განმავლობაში ნათობ პროდუქტებზე დამზადებულ საწვავზე მომუშავე ავტობოლიებმა სრულად ჩაანაცვლეს ელექტრონიკის, თუმცა დღეს ეკოლოგიური თვალსაზრისისა და სხვა რიგი მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, კვლავაც აქტუალური გახდა ელექტრონიკის მოხმარების საკითხი. "ყველაფერი ახალი კარგად დაიწყებული ძველიაო". - ბრძნულად უთქვამს თავის დროზე ჭკვიან ხალხს.

10 წლის მარიამ ნანეიშვილი კრიზიორია

2020 წლის 14 და 15 თებერვალს, ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში, სადაც მონაწილეობდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელი სენსეი მიხეილ ქანთარია).



სამტრედიელთაგან წარმატებით იასპარეზა ახალბედა სპორტსმენმა, 10 წლის მარიამ ნანეიშვილმა, რომელმაც მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა.

მიმდინარე წლის მისში კარატეს ჯგუფის წევრები მარიამ ნანეიშვილი, ლუკა ხარაული და ნეკა ნეკურაძე მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ესპანეთში, ბარსელონას ოლქის, ქალაქ სანტა სლაუსანში ტარდება.

მიმდინარე წლის ივლისში ისინი, ფანახეთის ქალაქ ასტანაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის გაემგზავრებიან.

“სამტრედიის მაცნეს” აღნიშნული ინფორმაციით სენსეი მიხეილ ქანთარია მიმართა. მწვრთნელი თავის სპორტსმენებს მიღწეულს ულოცავს და შემდგომ ასპარეზობებში წარმატებებს უსურვებს.

6060 ნანეიშვილი



მთელი დამე საიტზე ვარ, აღარ მომდის თვალზე რული, შენს სიყვარულს მიჩვევინა “ფეისბუქის” სიყვარული.

ლუკა მოწყობილი მადლობას უხდის ბიზნესმენ ბატონ ბონდო ანჯაფარიძეს, ქალბატონ ნაილი ტურაბელიძეს და აკაკი ორმოცაძის ოჯახს თავისი ბებიის, ციური გოგობის, სიცოცხლის გადარჩენისათვის.

ბატონ ოთარ სტურუას!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ დირსეულ სამტრედიელს, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცს. იხარეთ და იღვებოდეთ მრავალრიცხოვან კეთილისმსურველთა გასახარად.

პატივისცემით ლევან ბაბინავა

ჟულუცაში!

ქალბატონმა, ვის შესახებაც აშკერად ვწერთ, ნახევარი საუკუნე იმუშავა კულაშის საქსოვ ფაბრიკაში. მრავალი ჯილდოს მფლობელი ქალბატონი ნათელა კვანტალიანი 10 მარტს 91 წლის ხდება. ხანდაზმულობის წლებს ოჯახურ გარემოში ატარებს და ხარობს საამაყო შვილებით, შვილიშვილებით, მათი შვილებით.

გაზაფხულის მობრძანებას, ქალთა დღესასწაულებსა და დაბადების დღეს ულოცავთ ღვაწლმოსილ ქალბატონს.

პატივისცემით ნაზი და კოლია შიგინაშვილი

გიორგი ჩხაიძეს!

კარგ სამტრედიელს, უანგარო მეგობარს, ცნობილ ექიმს, მედიცინის დოქტორს, ბატონ გიორგი ჩხაიძეს, ულოცავთ დაბადების დღეს, უუსურვებ წარმატებებს პირად და პროფესიულ საქმიანობაში!

ბაჟან გოგია



ნათია ყაზანიშვილს!

უდიდესი სიყვარულით გილოცავთ, ჩვენო საუკეთესო გოგონავ, დაბადების დღეს. ყოველი წლის მატებას მეტი და მეტი წარმატება მოჰყოლოდეს შენს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფლის წყალობა არ მოგაკლოს გამჩენმა და აღამიანების ზღვა სიყვარული.

სამტრედიის საგანგებო სამსახურის რეჟისორი



სოფიო კატარაძის!

ნაცად მეგობარს, კარგ აღამიანს, ჩვენს საყვარელ სოფოს გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე შენი დიდი ოჯახის, წარმატებული შვილების ბედნიერებით. ერთმანეთის თანადგომა არ მოგვშლოდეს, პატივისცემა არ გაგვკუდუბოდეს, სიყვარული ღვიწისათვის დაგვკუდუბოდეს. ერთად გამოვილიო წლები გაგვბეგრებოდეს ერთმანეთის იმედით!

აკაკი, თინა და ირა



მათი ცერცვაში!

დინჯ და ჭკვიან მათეს დიდ სიყვარულით ულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და ბედნიერებას უსურვებთ, ბეჯითობასა და წარმატებებთან ერთად. გვჯერა, მშობლებისა და ქვეყნისთვის სასახელო ბიჭი გაიზრდება.


მისამი საჯარო სკოლის პირველკლასელები და ღამრიგაპალი მარან თიგვაძე



დათო ტორიანაძეს!

დათუნა, ბებო, გილოცავ დაბადების დღეს, შენ ხომ ჩემი იმედი და სუნთქვა ხარ ქეთისთან ერთად, ჩემო დახატულო, ვერ წარმოგიდგენია ის დღე, რომ არ ჩაგეხუტო და მოგეფერო, გისურვებ ყოველდღიურ წარმატებებს შენს ერთადერთ უღამაზეს დაიკოსთან ერთად.

ნანული ბაბო



დათუჩი, გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო პატარა, ლამაზო ანგელოზო, ჩვენთან შემოსვლის დროს ისეთი პოზიტივი შემოგაქვს, გვახარებს და გვახალისებს. აქვე მინდა აღვნიშნო შენი გამზრდილი ნაწილი ბებოს ვითომ შეუქმნეველი, გახარებული თვალელები და სახე როდესაც ჩვენთან მოდიხარ და დაგინახავს.

ძალიან გვიყვარხარ და გვეამაყები, დემრთი იყოს შენი ყოველი ნაბიჯის მფარველი!

“სახლი თანაჯროვან” თანაჯროვლები

ღედა

გვესტუმრა სასურველი და სანატრელი მარტი, მალე აღუწები და ტყემლები ყვავილების თოვლით გადაიხურება... მერე ეზოებსა და ბაღნა-ბაღებში კოცონს ააბრალებენ ატმის ყვავილები... დაუბერავს აპრილის ნელ-თბილი ქარი, ჰაერში განიბნევა ყვავილების დამატორბელი სურნელი. ცაში შურდულივით შეინაგარდებენ კუდმაკრატელა მერცხლები. არემარეს დაატკბოს ფრინველთა მზიარული ფლურტული.

გაზაფხულის პირველ თვეს თანამგზავრად ახლავს ჩვენი ღედევისა და დების დღესასწაული. რვა მარტს ჩვენ მოწიწებით დავკრეფთ ყვავილებს და ძღვნად მივართმევთ ჩვენთვის ყველაზე მეტად საყვარელ და ახლობელ აღამიანს – ღედას.

ღედას! – ვამბობთ და თვალწინ წარმოგვიდგება მისი ნათელი სახელი, კეთილი, შუქამდგარი, ჩვენთვის უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე თვალეები. ვხედავთ იმას, ვის სახესაც პირველად აღიბეჭდავენ ჩვილის თვალეები, იმას, ვინც დარაჯად უდგას ჩვენს ტკბილ ძილს, ჩვენს მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, ჩვენს პირველ სიხარულსა და სიყვარულს.

ყველა ღედას, ყველა ქალს ულოცავ ღედას დღესა და 8 მარტს. ბედნიერი ღედეები ყოფილიყავით!

ბულიკო გოგობია

სამტრედიის №2 საჯარო სკოლის კვლავობი

რედაქციის მისამართი: სამტრედიის რესპუბლიკის ქ. №6 ტელ: 599 02 41 11



- დირექტორი ბაჟან გოგია
- მთავარი რედაქტორი ქიმიკან ჭილიძე
- გამომწვევი რედაქტორი თინა ბაბუნაშვილი
- პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბინავა
- კომპიუტერული გრაფიკა მამა პაპაძე